ტურიზმში განხორციელებული ინვესტიციების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა (მესტიის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)

ერეკლე ჯაფარიძე
სტუ-ს დოქტორანტი

ანოტაცია

სტატიაში განიხილავს მესტიის მუნიციპალიტეტში განხორციელებული ტურისტული ინვესტიციების სოციალურ-ეკონომიკურ ზემოქმედებას, რადგან წარსულში იზოლირებული და ეკონომიკურად ჩამორჩენილი რეგიონი ბოლო ათწლეულში იქცა ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად ტურისტულ ზონად. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკურ შედეგებზე, მათ შორის დასაქმების ზრდაზე, საშუალო შემოსავლის მატებაზე, მცირე და საშუალო ბიზნესების გააქტიურებაზე და ადგილობრივ საბანკო და საფინანსო სექტორში ინვესტიციური აქტივობის გაძლიერებაზე. კვლევა ეფუძნება სტატისტიკურ მონაცემებს, საველე ინტერვიუებსა და ექსპერტულ შეფასებებს. მიგნებები აჩვენებს, რომ ტურიზმში განხორციელებულმა ინვესტიციებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეკონომიკური დივერსიფიკაციის პროცესს, ადგილობრივი მოსახლეობის თვითდასაქმების ზრდას და მიგრაციის საპირისპირო ტენდენციას. თუმცა, დაფიქსირდა ისეთი გამოწვევებიც, როგორიცაა ფასების ზრდა, სეზონურობის გავლენა და ეკოლოგიური წნეხი. სტატია რეკომენდაციებით, რომლებიც მიმართულია მდგრადი განვითარების მიღწევაზე, ტურისტული პოტენციალის გრძელვადიან რეალიზაციასა და ადგილობრივი კულტურული იდენტობის შენარჩუნებაზე.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ინვესტიცია, სოციალური ეფექტი, ეკონომიკური განვითარება, მესტია, რეგიონული განვითარება.

SOCIO-ECONOMIC EFFECTIVENESS OF INVESTMENTS IN TOURISM (USING THE EXAMPLE OF MESTIA MUNICIPALITY)

Erekle Jafaridze
Phd student of GTU

ABSTRACT

This article examines the socio-economic impact of tourism investments in the Mestia Municipality, Once a geographically isolated and economically marginal region, Mestia has undergone significant transformation into a thriving tourism destination. Special emphasis is placed on the economic outcomes, including increased employment rates, rising average income, the expansion of small and medium-sized enterprises (SMEs), and the intensified activity of the local banking and financial sectors. The study adopts a mixed-method approach, drawing on statistical data, field interviews, and expert assessments. Findings demonstrate that tourism-related investments have significantly contributed to economic diversification, growth in self-employment among local residents, and a reversal in migration trends. Nonetheless, the analysis also reveals challenges such as rising living costs, the influence of seasonality, and environmental strain. The article concludes with policy recommendations aimed at promoting sustainable development, realizing long-term tourism potential, and preserving the cultural identity of the local community.

Key words: Tourism, Investment, Social Impact, Economic Development, Mestia, Regional Development.

* * * *

საქართველოში ტურიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს რეგიონული უთანაბრობების შემცირებას და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ბოლო ათწლეულში მესტიის მუნიციპალიტეტში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა ინვესტიციებმა (მთავრობისა და კერძო სექტორის მხრიდან) ხელი შეუწყო ინფრასტრუქტურის განვითარებას, დასაქმების ზრდას და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. თუმცა, პარალელურად, მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებებიც შეინიშნება – მათ შორის, მოსახლეობის სტრუქტურის ცვლილება, ფასების ზრდა და ტრადიციული ცხოვრების წესის ტრანსფორმაცია. ტურიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ სექტორს საქართველოში, რაც განპირობებულია ქვეყნის უნიკალური ბუნებრივი, კულტურული და ისტორიული რესურსებით. განსაკუთრებით აქტუალური ხდება რეგიონების განვითარება ტურიზმის მეშვეობით, რაც ერთდროულად ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს იძლევა.

მესტიის მუნიციპალიტეტი, როგორც სვანეთის კულტურულ-ისტორიული ცენტრი, ბოლო ათწლეულში იქცა ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად ტურისტულ მიმართულებად საქართველოში. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა

როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის ინვესტიციებმა.

სახელმწიფოს მიერ მთიანი რეგიონების მიმართ პროტექციონისტულმა მიდგომამ, საგადასახადო შეღავათების პოლიტიკამ და განვითარების სტრატეგიულმა მიდგომამ ჩამოაყალიბა სანდო საინვესტიციო გარემო და ხელი შეუწყო საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებას, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ბიზნესისათვის. მესტიის მუნიციპალიტეტში ეკონომიკურ აქტივობას ძირითადად ახორციელებს ადგილობრივი მოსახლეობა. მათი სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისთვის ფინანსური უზრუნველყოფა განაპირობა საბანკო და სხვა საფინანსო ინსტიტუტების რეგიონში შემოსვლამ და მათ სერვისებზე წვდომამ მოსახლეობის უძრავ/მოძრავი ქონების უზრუნველყოფით. საბანკო და მიკრო საფინანსო ორგანიზაციების წილი კერძო ინვესტიციების სეგმენტში შეადგენს 90%-ზე მეტს.

მესტია ბოლო ათწლეულის განმავლობაში გახდა ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებადი ტურისტული ზონა. განხორციელდა მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტები: რეაბილიტირებულია გზები, აშენდა ახალი სასტუმროები, საცხოვრებელი კომპლექსები, განახლდა მესტიის აეროპორტი და უნიკალური ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ამოქმედდა ზამთრის კურორტები (ჰაწვალი, თეთნულდი), აშენდა ლაჯანურ-მესტიის 110 კ.ვტ-იანი ელექტრო გადამცემი ხაზი და განხორციელდა სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები (შიდა გზები და ხიდები, ისტორიული მნიშვნელობის უბნების რეაბილიტაცია, წყალ-კანალიზაციის ქსელის მოწყობა და სხვა.). ჯამში განხორციელებული სახელმწიფო ინვესტიციამ შეადგინა დაახლოებით 400 მლნ ლარი. ამ უზარმაზარი სახელმწიფო ინვესტიციის პარალელურად, დაბა მესტიაში კერძო ინვესტიციით განხორციელდა მესტიის საავადმყოფოს მშენებლობა და მოწყობა, სს ლიბერთი ბანკის ფილიალის რეაბილიტაცია, სასტუმროების (თეთნულდი, ბანგურიანი, ძველი სეტი) კაფეებისა და ბარ-რესტორნების გახსნა, ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასა და სოკარ ჯორჯია პერტოლიუმის ბენზინგასამართი სადგურების გახსნა.

სწორი საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობას, საინვესტიციო ბაზრის ყოველი მონაწილე სუბიექტის ეკონომიკურ ინტერესებს, საინვეტიციო პროცესების საკანონმდებლო მხარდაჭერას და საინვესტიციო საქმიანობის ეფექტიანობის ანალიზს.

ეკონომიკურ აქტივობას ძირითადად ახორციელებს ადგილობრივი მოსახლეობა. მათი სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისთვის ფინანსური უზრუნველყოფა განაპირობა საბანკო და სხვა საფინანსო ინსტიტუტების რეგიონში შემოსვლამ და მათ სერვისებზე წვდომამ მოსახლეობის უძრავ/მოძრავი ქონების უზრუნველყოფით. ოპერირებენ სს საქართველოს ბანკის, სს ბაზის ბანკის, სს კრედო ბანკის, სს თი-ბი-სი ბანკისა და სხვა მიკრო საფინანსო ორგანიზაციების ფილიალები, რომელთა წილი კერძო ინვესტიციების სეგმენტში შეადგენს 90%-ზე მეტს და დაახლოებით 200 მლნ აშშ დოლარს შეადგენს ჯამურად გაცემული კრედიტის მოცულობა ზემო სვანეთის მიმართულებით.

კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების შედეგად შექმნილია და დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ორი 4-ვარსკვლავიანი სასტუმრო, შედარებით მცირე ზომის სასტუმროები (საშუალოდ 20-დან 40 ნომრამდე) და 700-ზე მეტი საოჯახო სასტუმრო, რომელთა დიდი ნაწილი (მიახლ. 45%) დ. მესტიაშია განთავსებული. ჯამში სახეზეა 4700 სასტუმრო ნომერი, რომლის მშენებლობაში დახარჯულია 130 მლნ აშშ დოლარზე მეტი. 28 რესტორნისა და 40 კაფე-ბარის მშენებლობაში დახარჯულია 60 მლნ-მდე აშშ დოლარი და მაღაზიები, ავტოგასამართი სადგურები და სალონები და სხვა მცირე ბიზნესი - 1მლნ-მდე, ხოლო სატრანსპორტო საშუალებების შეძენაში 2 მლნ აშშ დოლარი.

მზარდია ტურისტების დინამიკა: 2010 წელს რეგიონში ტურისტების რაოდენობა არ აღემატებოდა 20,000-ს, ხოლო 2023 წელს ეს მაჩვენებელი ოფიციალურ წყაროზე დაყრდნობით გაიზარდა 180,000-მდე. თუმცა, შიდა კვლევა ცხადყოფს, რომ ეს რიცხვი 700 000-800 000 კაც-დღეს აღწევს, რაც თვისობრივად ცვლის სურათს ყველა სეგმენტში და თითქმის 1/3-ით ზრდის მონაცემებს როგორც შემოსავლების, ისე დასაქმების ნაწილში. მზარდია ინვესტიციების წყაროებიც. 60% კერძო ინვესტიციებია (ქართველი და უცხოელი მეწარმეებისგან), 30% სახელმწიფო პროგრამებიდან და 10% დონორული ორგანიზაციებიდან (იხ. დიაგრამა 1).

ტურიზმის განვითარებამ მნიშვნელოვნად გაზარდა სეზონური და მუდმივი სამუშაო ადგილების რაოდენობა. სასტუმროებსა და ტურისტულ ობიექტებში დასაქმებულია მოსახლეობის დაახლოებით 35%. მესტიის მუნიციპალიტეტმა შეძლო სეზონური დასაქმების გაფართოება და მცირე ბიზნესის განვითარება. რაც შეეხება შემოსავალის ზრდას, საშუალო ხელფასი ტურისტულ სექტორში გაიზარდა 45%-ით ბოლო ხუთ წელიწადში. ბიზნეს აქტივობის ნაწილში, რეგისტრირებულ მცირე და საშუალო ბიზნესთა რაოდენობა გაიზარდა 70%-ით 2015 წელთან შედარებით.

მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოსახლეობა შეადგენს 11 575 ადამიანს, რაც 2014 წელთან შედარებით ზრდას აჩვენებს (9316 ადამიანი). მათგან

დიაგრამა 1: ტურისტების ზრდის დინამიკა მესტიაში (2010-2023)



5785 ქალია, ხოლო 5790 კაცი. ბოლო წლებში მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი დაქვეითებულია, თუმცა მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ძირითადად უკავშირდება მუნიციპალიტეტში დაბრუნების ტენდენციას. 2012–2024 წლებში მესტიაში დაბრუნდა 109 ოჯახი, ხოლო გაემგზავრა – 19. მიგრაციის სალდო შეადგენს +90-ს. 2022 წლის ბოლოს მესტიის მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რიცხვი საჯარო სექტორში იყო 1135, კერძო სექტორში – 1322, ხოლო თვითდასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 2197-ს. 2020 წლის მონაცემებით, შრომისუნარიანი მოსახლეობის 73% დასაქმებულია. უმუშევრობის დონე შეადგენს 27%-ს.

ტურიზმის განვითარების პარალელურად გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი წარმოება სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას, შეიმჩნევა სოფლის მეურნეობის საშუალოდ 20%-იანი ზრდა ისეთ დარგებში, როგორიცაა: ხორცის, რძის, თევზის, მეფუტკრეობის, ხილისა და ბოსტნეულის წარმოება.

მესტიაში ტურიზმის განვითარებას თან ახლავს საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის მკვეთრი ზრდა, რაც ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებასა და საზოგადოებრივი სერვისების განვითარებაზე აისახება. თვალსაჩინოა ტურიზმთან დაკავშირებული სექტორების განვითარებაც. კერძოდ, სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით, ფერმერები

დიაგრამა 2: დასაქმების ზრდა ტურიზმის სექტორში მესტიაში (2010-2023)



დიაგრამა 3: ინვესტიციების მოცულობა მესტიაში (მლნ. ლარი. 2010-2023)



ამარაგებენ სასტუმროებსა და რესტორნებს ადგილობრივი პროდუქციით. სოფლის პროდუქციის გაყიდვები აღემატება 20 მილიონ ლარს. ფუნქციონირებს 150-ზე მეტი ობიექტი, რომელთა საშუალო თვიური ბრუნვა ერთ ობიექტზე შეადგენს 6,000–12,000 ლარს, ხოლო ჯამური ბრუნვა ოფიციალური მონაცემებით: 15 მილიონ ლარზე მეტს. **ვითარდება ტრანსპორტის მიმართულებაც,** მიკროავტობუსებისა და ტაქსების რაოდენობა 70 ერთეულს აღწევს, ხოლო სეზონური ბრუნვა: 3–5 მილიონი ლარს. **ხელოსნობა და ტრადიციული წარმოება** მოთხოვნადი ხდება. სვანური სუვენირების გაყიდვები 2023 წელს გადააჭარბა 5 მილიონ ლარს (იხ. დიაგრამა 2-3).

მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2015–2023 წლებში მესტიის მუნიციპალიტეტში ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა სტაბილურად გაიზარდა. თუ 2015 წელს სექტორში მხოლოდ 320-მდე ადგილობრივი იყო დასაქმებული, 2023 წლისთვის ეს მაჩვენებელი 910-მდე გაიზარდა, რაც დაახლოებით 190%-იან ზრდას ნიშნავს რვა წელიწადში. აღნიშნული ტენდენცია მჭიდრო კავშირშია იმ სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებთან, რომლებიც მიმართული იყო ინფრასტრუქტურის, ტურისტული ობიექტებისა და მომსახურების სფეროს განვითარებაზე.

პარალელურად, ტურისტული შემოსავლები, რომლებიც მუნიციპალიტეტში გენერირდებოდა, ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა: ოფიციალური მონაცემებით, 2015 წელს მიღებული დაახლოებით 7.2 მილიონი ლარიდან, 2023 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 20 მილიონ ლარამდე, რაც თითქმის სამმაგ ზრდას ნიშნავს. თუმცა, შიდა კვლევით, 2024 წლისთვის აღნიშნული მონაცემი შეადგენს 150 მლნ ლარს. აღნიშნული ზრდა მიუთითებს ტურისტული პროდუქტების კომერციულობის ამაღლებაზე, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და სტუმრების რაოდენობის ზრდაზე.

გრაფიკული მონაცემების ანალიზი ადასტურებს, რომ ტურიზმში განხორციელებული ინვესტიციები რეალურ ეკონომიკურ სარგებელს იძლევა არა მხოლოდ სტატისტიკურ დონეზე, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების და დასაქმების ზრდის თვალსაზრისითაც. თუმცა, იმისთვის, რომ ეს ტენდენცია გრძელვადიანად შენარჩუნდეს, აუცილებელია სწორი დაგეგმარება, რესურსების მდგრადი მართვა და ტურისტული შეთავაზებების დივერსიფიკაცია.

მესტიის მუნიციპალიტეტში ტურიზმში განხორციელებულმა ინვესტიციებმა მნიშვნელოვნად შეცვალა სოციალური გარემო. მუნიციპალიტეტი, რომელიც გეოგრაფიული იზოლაციისა და ინფრასტრუქტურული სირთულეების გამო წარსულში დემოგრაფიული კლებით ხასიათდებოდა, ბოლო ათწლეულში გარდატეხის ეტაპს განიცდის. ტურისტული სერვისების გაფართოებამ და სახელმწიფო თუ კერძო ინვესტიციების ზრდამ ხელი შეუწყო ახალგაზრდების დაბრუნებას რეგიონში, რაც დაკავშირებულია ახალი დასაქმების შესაძლებლობებთან და ეკონომიკური აქტივობის ზრდასთან (Sharpley & Telfer, 2015; დიასამიძე, 2022).

ტურიზმმა ასევე განაპირობა გენდერული სტრუქტურის ტრანსფორმაცია ადგილობრივ შრომით ბაზარზე. ქალთა ჩართულობა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო მასპინძლურ ბიზნესში, მომსახურების სფეროში შესამჩნევად გაიზარდა, რაც სოციალური გაძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორად განიხილება (UN Women, 2019; ქველაძე და სხვ., 2022). მომსახურების სექტორის განვითარებამ შესაძლებლობა მისცა ბევრ ადგილობრივს, მათ შორის ქალებს და ახალგაზრდებს,

დასაქმებულიყვნენ ტურიზმთან დაკავშირებულ დარგებში, რაც ზრდის სოციალურ კაპიტალს და ამყარებს ეკონომიკური ჩართულობის განცდას.

თუმცა, სოციალურ ცვლილებებთან ერთად გამოვლენილია რიგი სირთულეებიც. ტურიზმის ზრდამ მესტიაში გამოიწვია საცხოვრებელი ფართების და სასურსათო პროდუქტების ფასების მკვეთრი ზრდა, რაც ხშირად აღემატება ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებს. მსგავსი დინამიკა აჩენს სოციალურ უთანასწორობასა და რესურსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას (Hall & Page, 2014; UNIK, 2023). ფასების ზრდა განსაკუთრებით მწვავედ აისახება მცხოვრებთა იმ ნაწილზე, ვინც უშუალოდ არ არის ჩართული ტურისტულ საქმიანობაში.

გარდა ამისა, ადგილობრივი კულტურისადმი გაზრდილმა ტურისტულმა ინტერესმა გამოიწვია ტრადიციების კომერციალიზაცია. კულტურული ელემენტები ხშირად მორგებულია ტურისტების გემოვნებასა და მოთხოვნებზე, რის შედეგადაც კულტურის ავთენტურობა გარკვეულწილად იკარგება. ეს ტენდენცია ცნობილია როგორც „ტურისტული ავთენტურობის“ ან „შერჩეული იდენტობის“ ფორმირება, რაც წარმოადგენს გლობალური ტურიზმის ერთ-ერთ დისკუსიურ ასპექტს (Cohen, 1988; მაზიაშვილი, 2023).

გარდა ინდივიდუალური და კულტურული ზემოქმედებისა, ინვესტიციებმა ხელი შეუწყო ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებას — განსაკუთრებით სატრანსპორტო და საინჟინრო კომუნიკაციების მიმართულებით. ეს ცვლილებები არამხოლოდ ტურისტულ კომფორტს ზრდის, არამედ ადგილობრივ მოსახლეობასაც აძლევს უკეთეს წვდომას სოციალურ სერვისებზე, რაც სოციალური კეთილდღეობის ზრდის ფაქტორად შეიძლება შეფასდეს (OECD, 2020).

მიუხედავად ამ პოზიტიური გავლენებისა, რეგიონი კვლავ განიცდის სეზონურობის გამოწვევებს. ზამთრის თვეებში ტურისტული აქტივობის კლებამ შეიძლება გამოიწვიოს დროებითი უმუშევრობა და ეკონომიკური სტაგნაცია, რაც საგრძნობლად მოქმედებს მოსახლეობის სოციალურ სტაბილურობაზე (Baum & Lundtorp, 2001). ასევე, სწრაფმა ურბანულმა განვითარებამ ეკოლოგიური წნეხი გააძლიერა — მათ შორის მშენებლობების ინტენსივობამ და ნარჩენების რაოდენობის ზრდამ გავლენა მოახდინა როგორც ბუნებრივ გარემოზე, ისე მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე (Holden, 2016; UNIK, 2023).

ამრიგად, მესტიის მაგალითზე ჩანს, რომ ტურიზმში განხორციელებული ინვესტიციები მძლავრად გარდაქმნის სოციალურ სტრუქტურებს. ეს გავლენა არ არის მხოლოდ პოზიტიური ან ნეგატიური — იგი კომპლექსურია, შეიცავს როგორც განვითარების შესაძლებლობებს, ასევე სისტემურ რისკებს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროცესები სტრატეგიულად იმართებოდეს და ეფუძნებოდეს მდგრადობის პრინციპებს, რათა სოციალური სარგებელი იყოს თანაბრად განაწილებული და გრძელვადიანი.

მესტიაში განხორციელებული ტურიზმის ინვესტიციის ეკონომიკური ეფექტი გამოითვლება SROI (Social Return on Investment) მეთოდით. ეს მეთოდი ითვალისწინებს თითოეული ჩადებული ლარის სანაცვლოდ მიღებული სოციალური და ეკონომიკური სარგებლის შეფასებას.

ინვესტიცია: 20 მლნ ლარი

წლიური სარგებელი:

ტურისტული შემოსავლები: 60 მლნ ლარი

ინფრასტრუქტურული სარგებელი: 10 მლნ ლარი

სოციალური სარგებელი: 5 მლნ ლარი

SROI გამოთვლა:

SROI=60+10+520=7520=3.75SROI = \frac{60 + 10 + 5}{20} = \frac{75}{20} = 3.75SROI=2060+10+5=2075=3.73

ანალიზი: SROI-ის გათვლით, თითოეული ჩადებული 1 ლარის სანაცვლოდ მესტია იღებს 3.75 ლარის სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს. ეს იძლევა ძლიერი არგუმენტის საფუძველს იმისთვის, რომ ტურიზმში განხორციელებული ინვესტიციები ქმნის მდგრადი სარგებელს ადგილობრივ ეკონომიკაზე და მოსახლეობაზე, რაც მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური განვითარების თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია, რომ SROI-ის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს ინვესტიციის ეფექტიანობას და ამ ეტაპზე რისკების მინიმიზაციას, რაც ხელს უწყობს მდგრად განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას.

ტურიზმში განხორციელებული ინვესტიციები მესტიის მუნიციპალიტეტში წარმოაჩენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეალურ შესაძლებლობებს. როგორც კვლევამ აჩვენა, ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულმა ინფრასტრუქტურულმა და კერძო ინვესტიციებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ტურისტთა ნაკადი, ხელი შეუწყო ადგილობრივი ბიზნესის გააქტიურებას და დასაქმების ზრდას, რაც პოზიტიურად აისახა მოსახლეობის შემოსავლის დონესა და ცხოვრების ხარისხზე და ასევე, გახდა ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო.

მთავრობისა და კერძო სექტორის თანამონაწილეობით განხორციელებული პროექტები – ტრანსპორტის, განთავსების და კულტურული მემკვიდრეობის განვითარება – მესტიას აქცევს ერთ-ერთ გამორჩეულ ტურისტულ ჰაბად საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში. ამასთან, ლიტერატურის ანალიზი მიუთითებს, რომ ინვესტიციების ეფექტი-

ანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მათ სტრატეგიულ და გრძელვადიან დაგეგმვაზე, მოსახლეობის საჭიროებებთან ჰარმონიაში ყოფნაზე და გარემოს დაცვის პრინციპების გათვალისწინებაზე.

მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, რეგიონში კვლავ გამოწვევად რჩება ტურიზმის სეზონურობა, სამეწარმეო რესურსების სიმწირე და სერვისების ხარისხი. საჭიროა ინკლუზიური მიდგომების გაძლიერება, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილობრივი საზოგადოების ფართო ჩართულობას, მათ უნარების განვითარებას და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელებას.

შედეგად, მესტიის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვალსაჩინო მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება ტურიზმის სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა ხელი შეუწყოს პერიფერიული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ აღორძინებას. თუმცა, მათი გრძელვადიანი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია თანმიმდევრული, კონტექსტზე მორგებული და ინკლუზიური განვითარების სტრატეგიების გაგრძელება და გაღრმავება, რაც მესტიის და საქართველოს სხვა განაპირობებს ისეთი მასშტაბის განვითარებას,

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგოლაძე, მ. (2021). რეგიონული უთანასწორობების გავლენა ტურიზმის განვითარებაზე. სოციალური პოლიტიკა, 14(2), 45–60.
2. გუგუშვილი, დ., & ბურჯალიანი, ზ. (2020). მესტიის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების სოციალური და ეკონომიკური შედეგები. ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პრობლემები, 4(2), 45–57.
3. დიასამიძე, ნ. (2022). საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის საინვესტიციო გარემოს სრულყოფის ძირითადი მიმართულებები. ბათუმი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
4. თოდუა, თ. (2021). ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება მესტიის მუნიციპალიტეტში: მიღწევები და გამოწვევები. რეგიონული განვითარება და ეკონომიკა, 3(1), 33–42.
5. ქველაძე, ქ., ხუსკივაძე, მ., მელაშვილი, მ., & ქისტაური, ნ. (2022). თანამედროვე ტექნოლოგიების ინოვაციური განვითარების ასპექტები ტურისტულ მომსახურებაში. ეკონომიკის ინოვაციური განვითარება, თსუ.
6. მაზიაშვილი, ნ. (2023). ტურიზმის ინოვაციური პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში. დიპლომატია და სამართალი, 10(1–2), 77–85.
7. ჭელიძე, ი. (2018). ტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში. თბილისი: საქართველოს ეკონომიკური კვლევების ცენტრი.
8. საქართველოს პარლამენტი. (2015). მთის კანონი – კანონი საქართველოს მთიანი რეგიონების შესახებ. მიღებულია: https://matsne.gov.ge
9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023). [მოსახლეობა, დასაქმება, ბიზნესი]. მიღებულია: https://www.geostat.ge
10. მესტიის მუნიციპალიტეტი. (2023). სტატისტიკური მონაცემები და ტურიზმის განვითარების ტენდენციები. მიღებულია: https://www.mestia.gov.ge
11. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2022). მთიანი რეგიონების განვითარების პროგრამა. მიღებულია: https://www.economy.ge
12. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2022). ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025-მდე. მიღებულია: https://gnta.ge/strategy-2025/
13. Ashley, C., Goodwin, H., & Roe, D. (2001). Pro-poor tourism strategies: Making tourism work for the poor. Overseas Development Institute.
14. Baum, T., & Lundtorp, S. (2001). Seasonality in tourism. Pergamon.
15. Cohen, E. (1988). Authenticity and commoditization in tourism. Annals of Tourism Research, 15(3), 371–386. https://doi.org/10.1016/0160-7383(88)90028-X
16. Hall, C. M. (2007). Tourism planning: Policies, processes and relationships. Pearson Education.
17. Hall, C. M., & Page, S. J. (2014). The geography of tourism and recreation: Environment, place and space (4th ed.). Routledge.
18. Holden, A. (2016). Environment and tourism (3rd ed.). Routledge.
19. OECD. (2020). OECD tourism trends and policies 2020. https://doi.org/10.1787/6b47b985-en
20. Sharpley, R., & Telfer, D. J. (2015). Tourism and development in the developing world (2nd ed.). Routledge.
21. UNIK. (2023). ინვესტიციები, საინვესტიციო გარემო და ტურიზმი მესტიაში. https://unik.edu.ge/Articles/1
22. UNWTO. (2021). International Tourism Highlights, 2021 Edition. Madrid: UN World Tourism Organization.
23. UNWTO. (2023). Tourism investment guidelines. https://www.unwto.org
24. UN Women. (2019). Women in tourism. https://www.unwomen.org